საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბანოზის აკაცია

აბანოზის აკაცია, შავი აკაცია, შავი ხე, მერქანშავი აკაცია (Acacia melanoxylon), ავსტრალიური მარადმწვანე ხე მიმოზისებრთა ოჯახისა. მის ქერქში 12%-მდე ტანინია. მაგარსა და გამძლე მერქანს იყენებენ საავეჯე მასალად (უმეტესად საინკრუსტაციოდ). კოლხეთსა და აღმ. ამიერკავკასიის ზოგიერთ ადგილზე გაშენებულია დეკორ. მიზნით. კარგად ხარობს, თუმცა ზოგჯერ მკაცრი ზამთარი მთლიანად ანადგურებს.